ახალი ხარაგაული

№321 (13), 6 ივნისი, 2016 წ.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 25 წელი გავიდა

26 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, ხარაგაულში, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის თავგანწირული მებრძოლის, ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას გარდაცვალების ადგილას, სოფელ ბორითში, აღინიშნა. საქართველოს დამოუკიდებლობისა და მერაბ კოსტავას დაბადების დღე მემორიალთან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, გამგებლის მოადგილეებმა და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა პირებმა საზეიმო ვითარებაში აღნიშნეს.

სტუმრებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში შეტანილი მერაბ კოსტავას უდიდესი ღვაწლი. ისაუბრეს მის ცხოვრებასა და მოწამეობრივ გზაზე.

შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა: ,,ვიდრე საქართველოს ეყოლება ისეთი გმირები, როგორიც იყო მერაბ კოსტავა, მას ძნელბედობის ჟამი არასდროს დაუდგება. მრავალი ერი იბრძოდა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და ზოგიერთი მათგანი -უშედეგოდ. იმპერიები იმსხვრეოდნენ, ხოლო საქართველო ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას. დღეს ჩვენი ქვეყნის გარკვეული ტერიტორია ოკუპირებულია, მაგრამ საქართველო აგრძელებს ბრძოლას, შეინარჩუნოს თვითმყოფადობა, დაიბრუნოს ტერიტორიები და შეუერთდეს ევროპული სახელმწიფოების ოჯახს. ჩვენ დღეს ვიმყოფებით მერაბ კოსტავას მემორიალთან. მერაბი არის სიმბოლო დამოუკიდებლობისა და გამარჯვებისა. გისურვებთ, ჩვენმა შვილებმა იცხოვრონ თავისუფალ, გამთლიანებულ საქართველოში“.

26 მაისი მიულოცა მთელ საქართველოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ვარლამ (ტატო) თავზარაშვილმა: „ეს თარიღი ორმაგად მნიშვნელოვანია. ერთი, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე და მეორე, როგორც საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი მერაბ კოსტავას დაბადების დღე. გილოცავთ და ვისურვებ, რომ უახლოეს მომავალში ეს დღე აღგვენიშნოს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში.“

მერაბ კოსტავას გარდაცვალების ადგილზე პატრიოტულ თემებზე შექმნილი სიმღერები შეასრულა კიცხის ფოლკლორულმა ანსამბლმა „ოდილამ“.

ამავე დღეს ხუნევის მაჟორიტარი დეპუტატის, ქალბატონ ლენა აბაშიძის, ორგანიზებით სოფელ გედსამანიაში, აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული გმირის გოჩა ჩადუნელის სახელობის მემორიალი გაიხსნა. მემორიალთან შეკრებილმა საზოგადოებამ კიდევ ერთხელ გაიხსენა ქვეყნის ერთიანობისთვის მებრძოლი გმირი.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში ხარაგაულის კინოთეატრში დასკვნითი საღამო გაიმართა. კონცერტზე ანსამბლ „უბისის“ ძველმა და ახალმა თაობამ ქორეოგრაფიული ნომრები წარმოადგინეს. სიმღერები შეასრულეს ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა: თიკო და თამარ ლურსმანაშვილებმა, სალომე კვირიკაშვილმა და კულტურის ცენტრთან არსებულმა ვაჟთა და გოგონათა ვოკალურმა ანსამბლმა. კონცერტი კულტურის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა.

ეკა შავიძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ოსკარ შინდლერის აკადემიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელ, კობა ლურსმანაშვილსა და ოსკარ შინდლერის აკადემიის დირექტორ ლეა შავიტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

ხარაგაულში ქართველი ებრაელის, მაქს მეირ შავიტის, მხატვარ დიზაინერთა სკოლა - სოციალური სანარმო გაიხსნება. ოსკარ შინდლერის აკადემიის ხარაგაულის ფილიალი მოსწავლეებს სხვადასხვა სპეციალობის შესწავლას შესთავაზებს. პრიორიტეტული მიმართულება სოციალურად დაუცველი და განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების სწავლება-დასაქმება იქნება.

მემორანდუმის თანახმად, სკოლის დაარსებისთვის თანხების მოსაძიებლად ხარაგაულის მუნიციპალიტეტი და ოსკარ შინდლერის აკადემიის წარმომადგენლობა ერთობლივ საინფორმაციო შეხვედრებსა და ღონისძიებებს გამართავს. ასევე მოხდება მასწავლებელ-კონსულტანტების გადამზადება.

მაქს მეირ შავიტი (მხატვარი-დიზაინერი): „დღეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი დღეა. ოსკარ შინდლერის აკადემია ქალბატონმა ლეა შავიტმა დააარსა. აკადემიის მთავარი მიზანია მხატვარ - დიზაინერთა სკოლა - ლიცეუმმა საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში დაიწყოს ფუნქციონირება. ხარაგაული არის პირველი მუნიციპალიტეტი, სადაც ეს ლიცეუმი დაარსდება. ჩვენთვის ეს არაა ბიზნესის კეთება, ეს არის კეთილი საქმე, რომელიც ჩვენს ბავშვებს, ჩვენს მომავალს სჭირდება.“

კობა ლურსმანაშვილი (ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი):

„ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ ხარაგაულში ახალი და საინტერესო იდეების განხორციელებას. მაქს მეირ შავიტის მხატვარ დიზაინერთა სკოლა-ლიცეუმის გახსნა ხარაგაულისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა. დღეს ყველაზე დიდ პრობლემას დასაქმება ნარმოადგენს. განსაკუთრებით, სოციალურად დაუცველი და გსმ პირების დასაქმება. ვფიქრობ, ჩვენი ურთიერთობები ნაყოფიერი იქნება.“

ეკა შავიძე

საუპელაციო სასამართლომ მიხეილ ჭიპაშვილის სარჩელი არ დააკმაყოფილა

1 ივნისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირის „ხარაგაულკეთილმოწყობის“ ყოფილი დირექტორის, მიხეილ ჭიპაშვილისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივრებზე მიღებული გადაწყვეტილება გამოაცხადა.

მიხეილ ჭიპაშვილი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში შეტანილ საჩივარში ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების (სამსახურში აღდგენაზე უარის თქმის ნაწილში) ნაწილობრივ გაუქმებას მოითხოვდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საჩივარი ჰქონდა შეტანილი ასევე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობას, რომლითაც განაცდურის ანაზღაურების ნაწილში ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებას ითხოვდა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა ასევე ითხოვდა მიხეილ ჭიპაშვილის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გამგებლის ბრძანების ძალაში დატოვებას. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი სრულად დააკმაყოფილა და ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა. გადაწყვეტილებით გამგებლის ბრძანება მიხეილ ჭიპაშვილის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ძალაში დარჩა, ხოლო მიხეილ ჭიპაშვილს არცერთი სასარჩელო მოთხოვნა არ დაუკმაყოფილდა.

შეგახსენებთ, რომ ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის“ ყოფილი დირექტორი, მიხეილ ჭიპაშვილი, თანამდებობიდან გასულ წელს გათავისუფლდა. მისი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი საკრებულოს დეპუტატთან, ვარლამ ჭიპაშვილთან, 20 ოქტომბერს მომხდარი დაპირისპირება გახლდათ, როცა მიხეილ ჭიპაშვილმა დეპუტატს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და მიხეილ ჭიპაშვილის სააპელაციო საჩივრების განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში 1 ივნისს, 10:30 საათზე, გამოცხადდა.

დასაბუთებული საბოლოო გადაწყვეტილება მხარეებს კანონით დადგენილი წესით გაეცნობათ.

„მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ წარმომადგენლები მოსახლეობას შეხვდნენ

25 მაისს ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ წარმომადგენლები სოფელ ღვერკის, ვანისა და სხლითის მოსახლეობას შეხვდნენ. შეხვედრას გამგებლის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების ხელმძღვანელი, გია ჭიპაშვილი, ამავე ცენტრის დირექტორი, ეკა შავიძე, მთავარი სპეციალისტი წარმომადგენლებთან კოორდინირების საკითხებში, ზურაბ კვინიკაძე, გამგებლის წარმომადგენელი ლაშისა და საღანძილის ადმინისტრაციულ ერთეულებში, კახაბერ კვინიკაძე და კობა ყრუაშვილი ესწრებოდნენ.

შეხვედრის მიზანს იმ პირველადი პრობლემების მოგვარება წარმოადგენდა, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას აწუხებს. შეხვედრის ორგანიზატორებმა აქაურ მაცხოვრებლებს დაწვრილებით მიაწოდეს ინფორმაცია იმ ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სოციალური პროგრამების შესახებ, რომლებიც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის დირექტორმა“, ეკა შავიძემ, შეხვედრაზე ცხელი ხაზის სერვისის შესახებაც ისაუბრა.

„მოგეხსენებათ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტი მაღალმთიანია და მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ნაკლებად აქვს კომუნიკაცია ადგილობრივ თვითმმართველობასთან. სწორედ კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, მუნიციპალიტეტში ცხელი ხაზის სერვისი ამოქმედებულიყო. ცენტრის ბაზაზე აღნიშნული სერვისი უკვე ერთი წელია ფუნქციონირებს. ეს გარკვეულწილად შეღავათია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც მოშორებული არიან ადმინისტრაციულ ცენტრს. მათთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება ბევრად ნაკლები დროისა და ენერგიის ხარჯზე ხდება.“

შეხვედრაზე მოსახლეობის მხრიდან დაისვა რიგი პრობლემები. მათი უმთავრესი პრობლემა სოციალური დახმარების უკანონოდ შეჩერებაა. სოციალური დახმარების პროგრამაში ცვლილებების შეტანამ საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია ხალხში.

შეხვედრაზე გამოვლინდნენ პიროვნებები, რომლებსაც მედიკამენტებით დახმარება სჭირდებათ. ცენტრის წარმომადგენელმა, მარიანა ბურჯალიანმა, ჩაინიშნა რამდენიმე ადამიანის მონაცემები და დაჰპირდა, რომ ამ პრობლემას კომპეტენტურ პირთან აუცილებლად მიიტანდა.

„მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში მომავალშიც განაგრძობს შეხვედრებს.

თამარ მაღრაძე

საგანმანათლებლო რესურსცენტრში თათბირი გაიმართა

30 მაისს ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში (უფროსი დავით კიკნაძე) სკოლის დირექტორთა თათბირი გაიმართა. რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ, საატესტატო გამოცდებთან დაკავშირებით ისაუბრა და შედეგები შეაჯერა.

წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან 60-მდე მოსწავლემ ვერ გადალახა საატესტატო გამოცდებში მინიმალური ზღვარი. მიუხედავად ამისა, თითოეულ მეთორმეტეკლასელს სკოლის საბაზო საფეხურის დამადასტურებელი სერტიფიკატი გადაეცემა. საატესტატო გამოცდებზე ჩაჭრილ მოსწავლეებს, მომავალ წელს შეეძლებათ, თავიდან ჩააბარონ გამოცდა იმ საგანში, რომელშიც ქულა დააკლდათ. საატესტატო გამოცდაზე ჩაჭრილი მოსწავლეები, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არ დაიშვებიან. ხარაგაულში მოლითის საჯარო სკოლა ერთადერთია, რომელშიც ყველა მოსწავლემ წარმატებით ჩააბარა საატესტატო გამოცდები.

რესურსცენტრის უფროსმა ყურადღება მოახლოებულ სამეურვეო საბჭოს არჩევნებზეც გაამახვილა. „როგორც თქვენთვის ცნობილია, 10 ივნისს ყველა საჯარო სკოლაში ერთდროულად (10:00 — 16:00 სთ) ჩატარდება სამეურვეო საბჭოს არჩევნები. უკვე დაკომპლექტებულია საარჩევნო კომისია, გამოკრულია საარჩევნო სიები და დარეგისტრირებულია სამეურვეო საბჭოს კანდიდატები. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდება 13 ივნისს. მეორე ტური, საჭიროებისამებრ 10 — 17 ივნისს ჩატარდება“ - განაცხადა დავით კიკნაძემ.

თამარ მაღრაძე

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲬᲘᲤᲐᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘ ᲐᲦᲣᲓᲒᲐ



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფას მაღალმთიანი დასახლების სტატუსი აღუდგა. ამ საკითხს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საფინანსო—საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი, სოციალურ ქსელში ეხმაურება.

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მოსახლეობამ შედეგი გამოიღო.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფას მაღალმთიანი სოფლის სტატუსი აღუდგა.

მუნიციპალიტეტის გამგებლის კობა ლურსმანაშვილის მიერ რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და სხვა სტრუქტურებში უკვე რამდენჯერმე გადაიგზავნა წერილები წიფის, ზვარის, ჩრდილისა და ნადაბურისთვის მაღალმთიანი დასახლების სტატუსის აღდგენის (მინიჭების) თხოვნით. გამგებლის წერილი უკვე რეაგირებულია სოფელ წიფასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილი გახდა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფას მაღალმთიანი სოფლის სტატუსი აღუდგა.

მომავალში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებისათვის მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭების შესახებაც იმსჯელებენ.

ინფორმაციისთვის: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ექვს სოფელს - ნუნისს, პატარა სახვლარს, გოლისს, გოლათუბანს, გუდათუბანსა და ფონას მაღალმთიანი დასახლების სტატუსი გასული წლის ბოლოს მიენიჭა, ხოლო იმ დროისთვის სოფელი წიფა, ნადაბური,ზვარე და ჩრდილი მაღალმთიანი დასახლების სტატუსის გარეშე. ვიმედოვნებთ, როგორც წიფის შემთხვევაში გამოიღო შედეგი მუნიციპალიტეტის გამგეობის აქტიურობამ, ასევე მოხდება ნადაბურის, ზვარისა და ჩრდილის მიმართაც. ქვემოთ შეგიძლიათ იხილოთ წერილები, რომლებიც გამგებლის მიერ იქნა გადაგზავნილი შესაბამის სტრუქტურებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან ზემოთ ჩამოთვლილი სოფლებისათვის მაღალმთიანი დასახლების სტატუსის აღდგენის თხოვნით.“



ᲔᲙᲐ ᲨᲐᲕᲘᲫᲔ

ᲡᲐᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲝ ᲮᲐᲖᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘ „ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲕᲘ ᲡᲣᲚᲘ“

საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელმა მერეთმა ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრს (რეჟისორი ირინე ჩხეიძე) უმასპინძლა. საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში სახალხო თეატრმა სოფელ მერეთში ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების მიხედვით სპექტაკლი „თანამდევი სული“ გამართა.

სპექტაკლი მერეთში საოკუპაციო ხაზიდან ერთ კილომეტრში, სოფლის საჯარო სკოლაში, ჩატარდა და მას რამდენიმე სოფლის მოსახლეობა ესწრებოდა.

ღონისძიებას მერეთში გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი, დავით ონიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე, კოტე თავზარაშვილი და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე პაატა გოგოლაძე ესწრებოდნენ.

საღამოს შემოქმედებითი ხასიათი შესძინა მერეთის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ეგრისმა“ და „X-ფაქტორ-2016-ის“ მონაწილე თაზო რუსიშვილმა, რომელმაც „ჰერიო, ბიჭებო!“ შთამბეჭდავად შეასრულა.

„ემოციურად დატვირთულია დღევანდელი დღე, რადგან ვიმყოფებით საზღვრისპირა რეგიონში. აღვნიშნავ, რომ სპექტაკლი „თანამდევი სული“ რამდენჯერაც არ უნდა ვნახო, ყოველთვის განსაკუთრებული შეგრძნება მეუფლება“ - განაცხადა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, პაატა გოგოლაძემ.

ირინე ჩხეიძე - ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის რეჟისორი:

„ყველაზე მთავარი აქ არის ქართული, ილია ჭავჭავაძის უკვდავი სიტყვა. ამაში დავრწმუნდით. ახალგაზრდობამ არაჩვეულებრივად მიიღო. ძალიან გაეხარდათ ჩვენი ჩამოსვლა და დღევანდელი დღე ძალიან ემოციური იყო.“

თეა ხაბალაევი - სოფელ მერეთის საჯარო სკოლის დირექტორი:

„აქედან გასული თითოეული მოსწავლე იყო აღფრთოვანებული, ვერ მალავდნენ თავიანთ ემოციებს. ჩვენ საზღვრისპირა სოფელი ვართ და უფრო მძაფრია სამშობლოს შეგრძნება. ყოველ დილით ვხედავთ იმ მთა-ბარს, რომელიც, სამწუხაროდ, დროებით ჩვენ აღარ გვეკუთვნის. დღეს კი ეს შეგრძნება განახლდა და ახლიდან განვიცადეთ სამშობლოს ტკივილი.“

ᲗᲔᲐ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ
მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

ᲡᲝᲤᲔᲚ ᲛᲐᲠᲔᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲖᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ

სოფელ მარელისში 3,5 კილომეტრიანი გზის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სადგურ მარელისიდან სოფლის ცენტრამდე გზის მოასფალტების სამუშაოებს მუნიციპალური განვითარების ფონდი აფინანსებს. პროექტის საერთო ღირებულება ერთი მილიონი ლარია.

გზის მთელ სიგრძეზე მოეწყობა სანიაღვრე არხები, გაკეთდება წყალამრიდები, შესრულდება გზის დახაზვითი სამუშაოები და დაიდგმება საგზაო ნიშნები.

სოფლის ცენტრალური გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაათვალიერეს.

სოფელ მარელისში 3,5 კილომეტრიანი გზის მშენებლობა ივნისის ბოლოს დასრულდება.

ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲨᲝᲗᲐ ᲑᲣᲐᲩᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ

„ჩვენ ვუკრავთ ანსამბლს“ - ასე ეწოდებოდა ღონისძიებას, რომელიც შოთა ბუაჩიძის (დირექტორი ლალი ალექსიძე) სახელობის სამუსიკო სკოლაში პედაგოგების ლია კვირიკაშვილისა და დარეჯან გვაძაბიას მოსწავლეთა მონაწილეობით გაიმართა. კლასიკური მუსიკის საღამოზე ცნობილი კომპოზიტორების უკვდავი ნაწარმოებები შეასრულეს დებმა, მართა და კესო გურგენიძეებმა, ლიზი დევდარიანმა, მარიამ დევდარიანმა, დავით ჩადუნელმა, და-ძმა ნიკოლოზ და ანა მეიფარიანებმა, ნათია კაციტაძემ, მარიამ ტაბატაძემ, მარიამ ლაცაბიძემ, და-ძმა სერგი და სალომე მაჭავარიანებმა, გიორგი კვირიკაშვილმა, ნანა ლურსმანაშვილმა, სალომე კვირიკაშვილმა, ნია ფოფხაძემ, ქეთი ლაცაბიძემ და მარიამ ხაჩიძემ, ქრისტინე ლაცაბიძემ, ელენე ტალახაძემ, თეკლა ებანოიძემ, თეო ჭიპაშვილმა. სამუსიკო სკოლის აღსაზრდელები მსოფლიო კლასიკოსების შმიტცის, შაინსკის, მოცარტის, ვებერის, ვაჟა აზარაშვილის, გია ყანჩელის, რევაზ ლაღიძისა და სხვათა ნაწარმოებებს პედაგოგების: ლია კვირიკაშვილისა და დარეჯან გვაძაბიას თანხლებით ფორტეპიანოზე ასრულებდნენ. კონცერტს განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას სძენდა სინქრონში შესრულებული ნაწარმოებები. ღონისძიების დასასრულს პედაგოგებმა დარეჯან გვაძაბიამ და ალა კვირიკაშვილმა დუეტში შეასრულეს ვაჟა აზარაშვილის „საცეკვაო მოედანზე“ და მაყურებლის ოვაციებიც დაიმსახურეს.

შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლის მოსწავლეები სალომე მაჭავარიანი, თათული ლურსმანაშვილი და მარიამ მანჯავიძე საერთაშორისო ფესტივალის „ხელოვანები მომავლისათვის“ ლაურეატები გახდნენ. ამავე ფესტივალზე მაღალი პროფესიონალიზმისათვის მადლობის სიგელები გადაეცათ პედაგოგებს დარეჯან გვაძაბიასა და დალი მერაბიშვილს. მადლობის სიგელი გადაეცა ასევე სამუსიკო სკოლის დირექტორს ქალბატონ ლალი ალექსიძეს შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლას ფესტივალში ღირსეული და წარმატებული მონაწილეობისათვის.

შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლის მოსწავლეები ასევე წარმატებით წარდგნენ ქალაქ სენაკში გამართულ „ხელოვნების აკადემიის“ რესპუბლიკურ კონკურსზე (ორგანიზატორი ვალერიან შიუკაშვილი). ფესტივალზე დიპლომებით დაჯილდოვდნენ და ლაურეატის წოდება მიიღეს არმაზ შავიძემ, მარიამ მანჯავიძემ, თამარ ლურსმანაშვილმა და სალომე მაჭავარიანმა.

სამუსიკო სკოლის მოსწავლეები მიწვეული არიან ქალაქ ბათუმში ფესტივალზე „ფესტივალიდან - ფესტივალამდე“, ნოემბრის თვეში ქალაქ რიგაში, ხოლო დეკემბერში ქალაქ ბაქოში გამართულ საერთაშორისო ფესტივალებზე.

შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში კლასიკური მუსიკის ზეიმი ლილიკო ნემსაძის „მგზავრულით“ დასრულდა, რომელიც მოსწავლეთა გუნდმა ერთობლივად შეასრულა.

ᲗᲔᲐ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ
მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲛᲐ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲥᲪᲘᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲐ

„მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“ (დირექტორი ეკა შავიძე) ერთი წელია, რაც სოციალურად დაუცველ რვა ოჯახს ყოველთვიურად ბავშვის საკვებ პროდუქტ „HUMANA-ს“ გადასცემს. აქციას მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრი, საერთაშორისო ორგანიზაციის „საქართველოს ქალები სიცოცხლისა და მშვიდობისათვის“ (დირექტორი მაია კვეზერელი - კოპაძე) მხარდაჭერით ახორციელებს. ამჯერად საერთაშორისო ორგანიზაციამ, ჩართულობის ცენტრს დამატებით კიდევ, 60 კოლოფი ბავშვის საკვები პროდუქტი ,,HUMANA“ გადასცა. საკვები პროდუქტები ამჯერადაც სოციალურად დაუცველ ბავშვებს გადაეცათ.

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲨᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲦᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე 1949 წელს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ დააწესა და იგი ამ დროიდან მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღინიშნება. მისი მიზანია მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მობილიზება, ბავშვთა დაცვა, მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა და დემოკრატიული აღზრდა-განათლება.

ბავშვთა დაცვის დღეს საქართველოშიც აღნიშნავენ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 1 ივნისს ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები დილიდან დაიწყო. დაბის N1 საბავშვო ბაღში სხვადასხვა აქტივობა გაიმართა. საზეიმოდ მორთულ გარემოში აღსაზღდელებმა ღია ცის ქვეშ მუსიკალური ნომრები წარმოადგინეს, წაიკითხეს ლექსები და ფერადი ცარცებით მოხატეს ეზო. მოგვიანებით კი ბაღების გაერთიანებასთან არსებულმა თოჯინების თეატრმა (ხელძღვანელი თამარ ავალიშვილი) სპექტაკლი „მაშა მიდის სკოლაში“ გამართა.

ამავე დღესთან დაკავშირებით ხარაგაულის კინოთეატრში კონცერტი ჩაატარა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა. მხატვრული კითხვის წრის აღსაზრდელების ოსტატურად შესრულებულმა ნომრებმა, სამეჯლისო ცეკვებმა, ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა და ხალხურმა სიმღერებმა მაყურებელთა ოვაციების ფონზე ჩაიარა.

ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს ხარაგაულში მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამლოცველოს წინამძღვარი, მამა ანტონი (სულთანიშვილი) და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ᲫᲘᲠᲣᲚᲐ-ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲡᲐᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ

ძირულა-ხარაგაულის ცენტრალურ გზაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. პირველ ეტაპზე 10 კილომეტრიანი გზის 7კმ მონაკვეთზე გზის ვაკისის შეკეთება მოხდება. გზის შეკეთების სამუშაოებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ასრულებს. მაღალი ტვირთამწეობის მანქანებით დაზიანებული ასფალტის საფარის ქვედა ფენის შეცვლას შპს „ბორანი“ ახორციელებს.

„მასპინძელ იყო ფარცხნალი - სოფელთა შორის რჩეული“



ვის შეიძლება დაავიწყდეს 2016 წლის ვარდობის თვის ის ორი უმშვენიერესი დღე, რომელიც ნიჭიერებასთან შერწყმული სითბო - სიყვარულის უქრობი სხივებით იყო გაბრწყინებული.

დიახ, იმ დღეებში ჭეშმარიტად სოფელთაგან გამორჩეულ ფარცხნალს ღვთიური შარავანდედი ედგა თავს, სხვაგვარი ნიავი ქროდა კახორის მთიდან და მადლი ეფინებოდა ამ უმშვენიერეს დღეთა თითოეულ მონაწილეს ფარცხნალელთა სულიერების სავანიდან - მაცხოვრის სახელობის ეკლესიიდან, რომლის „ბჭენი სიმაღლისანი“ კიდევ უფრო ამაღლდა ქართველთა და ებრაელთა ხელით დანთებული სანთლებით...

დიახ, 28 მაისის დილამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუ რა ძლიერი ფესვებითაა შეკავშირებული ორი ერის მეგობრობა, როცა წმინდა მიწიდან ჩამოტანილი სანთლებით მოილოცეს ტაძარი სტუმრებმა და მასპინძლებმა...

„და შრიალებდა ტოტი...“ ცასხვისა...

ალღო - ინტუიციამ არც ამჯერად უღალატა რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის მესაჭეს, უნიჭიერეს იზა ვეფხვაძეს, როცა ჩაიფიქრა, რომ მისი პროექტით დაფუძნებული ლიტერატურული კონკურსი „ოდეონი“ და სამხატვრო პლენერი „გამა“ ფარცხნალში, კორიფეთა სამკვიდროში, გამართულიყო, თანაც იმ ტაძრის ეზოში, რომელშიც საუკუნის მიღმა ქართული პოეზიის ამირანი - დიდი გალაკტიონი - მშობელი მიწისა და მზის თაყვანისცემის გრძნობას უნერგავდა აქვე გამართული სკოლის შენობაში პატარა ფარცხნალელებს...

და ამჯერად, 2016 წლის 28 - 29 მაისს, „სიო სულ სხვაგვარად არხევდა და ატოკებდა“ გენიოსი მესიტყვის ხელით დარგულ ცაცხვს, რომელიც დღეს ყველა ფარცხნალელის სიამაყეა და მას „გალაკტიონის ცაცხვი“ ჰქვია.

ფარცხნალის 25 ოჯახის კარი ღია იყო კონკურსის მონაწილეთათვის. თუმც ყოველ ფარცხნალელს სურდა, გულღია იმერული სტუმართმოყვარეობის მანტია მოერგო და ჰქონოდა პატივი, სტუმარს მისი პურმარილის გემოც გაესინჯა...

გამორჩეული იყო ის უბედნიერესი ფაქტი, როცა კონკურსის გახსნის ცერემონიალს დაესწრო ისრაელის დელეგაცია, რომელიც ოფიციალური სტატუსით იყო ჩამოსული საქართველოში ისტორიის უკუღმართობით დევნილი ებრაელი ერის ერთ - ერთ მყუდრო ნავსაყუდელთან - საჩხერესთან - დასამეგობრებლად...

„რასა ღმერთსა არა სწადდეს...“

უფალი რომ წყალობის თვალით გადმოხედავს ქვეყანას, ქალაქს, სოფელს თუ კონკრეტულად ადამიანის კეთილ ჩანაფიქრს, საქმე მუდამ წარმატებული შედეგით მთავრდება. ქალბატონ იზა ვეფხვაძის მიერ ჩაფიქრებულ სამომავლო - საშვილიშვილო საქმეს აქვს სრული მხარდაჭერა ხარაგაულის ხელისუფლების, მოსახლეობის, ცალკეული ორგანიზაციის თუ ნიჭიერების მფარველ სხვა უამრავ ადამიანთაგან.

მართლაც რომ ღვთის საჩუქარია ხარაგაულის საზოგადოებისათვის კულტურული ცხოვრების მაჯისცემაზე მიყურადებული ისეთი გამგებელი, როგორიც ბატონი კობა ლურსმანაშვილია. გვინდა, კონკურსი „ოდეონის“ ჟიურის თავმჯდომარის, უნიჭიერესი ლიტერატორის, მკვლევრისა და კრიტიკოსის, ბატონ როსტომ ჩხეიძის, სიტყვები მოვიშველიოთ: „საგანგებო მადლობა მინდა, ვუთხრა ბატონ კობას. საქართველოში ბევრი როდი გვყავს ისეთი გამგებელი, რომელიც ამბობს, რომ პრიორიტეტი უნდა იყოს კულტურა. თუ გვინდა სახელმწიფოს შენება - სიმტკიცე, კულტურული ყოფა უნდა გავაძლიეროთ, ავამაღლოთ.“

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს ხედვა მუდამ სრული მხარდაჭერით საზრდოობს და ასე იყო ამჯერადაც. „ოდეონელები“ და „გამელები“ მშვენიერი მაისურებით შემოსა ცნობილმა ებრაელმა ქველმოქმედმა პაატა იოსებაშვილმა. მხარდამჭერები: უამრავი კეთილი საქმის შემოქმედი ცნობილი დიზაინერი ბატონი მაქს მეირ შავიტი, ქალაქ თბილისის მერია, კულტურის სამინისტრო, გელა ბუაჩიძე, ბაქარ დევდარიანი, ფრიდონ მაღრაძე, გაგა ბუაჩიძე, სასაუზმე „მალხაზი“ და უამრავი ღირსეული პიროვნება თუ ორგანიზაცია, რომელთაც უშურველად გასცეს სიკეთე უანგარიშო, ულევი...

„შეჩერდი, წამო, მშვენიერი ხარ!“

განგების მადლია, რომ ხარაგაულს უსაყვარლესი რძალი ჰყავს დალი მერაბიშვილის სახით — პროფესიონალიზმით, პასუხისმგებლობითა და საქმის სიყვარულით გამორჩეული ქალბატონი. კიდევ ერთხელ მოვინუსხეთ და მოვექეცით ამქვეყნიური მშვენიერების სამოთხეში, როცა მისი ტექსტითა და მუსიკით შექმნილი „ოდეონის“ ჰიმნი აგუგუნდა და ცად აღიმართა „ოდეონისა“ და „გამას“ დროშები.

კობა ლურსმანაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი:

„ბედნიერები ვართ, რომ ქალბატონ იზა ვეფხვაძის ნიჭითა და შემოქმედებითი უნარით მეთერთმეტედ ტარდება ლიტერატურული კონკურსი „ოდეონი“ და მეორედ - სამხატვრო პლენერი „გამა.“ მწამს, რომ მალე ეს თვალსაჩინო პროექტი ხარაგაულის სავიზიტო ბარათად იქცევა.

ჩვენ ვდგავართ ფარცხნალის მადლიან მიწაზე, რომლის შვილებმაც ქართული ნიჭიერების ფენომენზე მსოფლიო აალაპარაკეს. ადგილობრივი ხელისუფლების მიზანია, რომ ხელი შეუწყოს სოფლის აღორძინება - გამშვენიერებას. მივესალმები ისრაელის დელეგაციას და იმ მეგობრობას, რომელიც ორი ერის წარმატებათა საიმედო საძირკველია.“

გურამ ცერცვაძე - საქართველოს მხატვართა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე:

„მივესალმები ამ შესანიშნავი კულტურული ჩანაფიქრის ორგანიზატორებს. პირველად ვარ მსგავს ღონისძიებაზე და მოვიხიბლე. ჩვენი გაერთიანება სრულ მხარდაჭერას უცხადებს რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის შემოქმედებით კოლექტივს და მის მესაჭეს, ქალბატონ იზა ვეფხვაძეს.

ღონისძიების ორგანიზატორმა, ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ, სტუმარ-მასპინძელთა ამაღლებული განწყობილების ფონზე დაასახელა ლიტერატურული კონკურსისა და სამხატვრო პლენერის მონაწილეები, ჟიურის კომპეტენტური შემადგენლობა (თავმჯდომარე როსტომ ჩხეიძე) და აღნიშნა, რომ ლიტერატურულ კონკურსზე დაწესებულია ორი ფულადი ჯილდო 400 — 400 ლარის ოდენობით საუკეთესო პოეტური და პროზაული ნამუშევრისათვის. გამოაცხადა კონკურსანტთა „საშინაო დავალების“ თემა - „სოფელი“ (დაგვეთანხმებით, ამ შეთავაზებასაც აქვს დიდი დატვირთვა, რაც სრულყოფილად გამოვლინდება ჟიურის მიერ ნაშრომთა შეფასებისას).

კიდევ ერთხელ გვინდა გავუსვათ ხაზი, რომ ქვეყანა კვლავ სოფლის ღონიერ მხრებზე დგას. ამ გამორჩეულმა იმერულმა სოფელმა ქვეყანას 4 აკადემიკოსი და 40-ზე მეტი პროფესორი აღუზარდა.

რა მიგნებულად გამოუხატავს საკუთარი სოფლის სიდიადე ენამოსწრებულ ფარცხნალელს: „-ასეა, ჩემო ბატონო, დიდი ფართობი ქე აღარ გვჭირდება სასაფლაოსთვის, ჩვენი სოფლიდან ყოველი მეორე თბილისში, პანთეონში, საფლავდება, აპა, რა!“

კონკურსანტები ნელ-ნელა გაეშურნენ მასპინძელთა სახლებისაკენ, რომ 24 საათის განმავლობაში შექმნან ლიტერატურული შედევრები და ფერწერული ტილოები...

„ბულბული მაინც ბულბულად რჩება...“

28 მაისის საღამოს 7 საათისათვის შხაპუნა (უფრო კოკისპირულმა) წვიმამ არ მოგვცა საშუალება, რომ კონკურსის ორგანიზატორის, იზა ვეფხვაძის, ნიჭიერების კიდევ ერთი გამონაშუქი, სპექტაკლი „ფარცხნალი - კორიფეთა სამკვიდრო“ გალაკტიონის ცაცხვის ფოთოლთა შრიალში გვეხილა. თუმც იზა რა იზა იქნება, რომ მაყურებელი ნებისმიერ სივრცეში არ დაატყვევოს. ამიტომ არც ფარცხნალის სასოფლო კლუბის კედლებს „შეუშლიათ“ მისთვის ხელი. იოსებ გრიშაშვილის სტრიქონები გავიხსენოთ:

„ბუჩქში იმღერებს თუ მაღალ ხეზე,
ბულბული მაინც ბულბულად რჩება!“

* * *

ნეტავ ვრცელი მინდვრის ტოლი იყოს გაზეთის ფურცელი, რომელზეც „გუთნის კალმით“ თავისუფლად, შეუზღუდავად გაავლებ ხნულს ბარაქიანი მოსავლის მისაღებად...

გაზეთის ფორმატი კი არ გვაძლევს საშუალებას, რომ მკითხველის ინტერესი სრულად დავაკმაყოფილოთ... ამიტომ კონკურსის მეორე დღეს, 29 მაისს, განვითარებულ მოვლენათა თანამიმდევრობა და ცნობილ ადამიანთა შთაბეჭდილებანი იხილეთ ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერში.

ეკა შავიძე
მერი გიორგიძე

„მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალურმა ცენტრმა“ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს ეტლები გადასცა

2 ივნისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს ეტლები გადაეცათ. აღნიშნული აქცია „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალურმა ცენტრმა“ საერთაშორისო ორგანიზაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ (თავმჯდომარე მაია კვეზერელი-კოპაძე) მხარდაჭერით განახორციელა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა, ნანა კიკნაძემ, ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ დირექტორმა, ეკა შავიძემ, გამგებლის წარმომადგენელმა ხევის ადმინისტრაციულ ერთეულში, გელა კოპაძემ და ხუნევის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ლენა აბაშიძემ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

მცხოვრებ განსაკუთრებული საჭიროების მქონე 4 პირს დამხმარე მოწყობილობები პირადად გადასცეს.

თანამედროვე, რბილი სავარძლის მქონე, კომფორტული ეტლები ინდივიდუალური შესაძლებლობების მიხედვით გადაეცა მათ, ვისაც ან საერთოდ არ ჰქონდათ ეტლი, ან ჰქონდათ, მაგრამ დაზიანებული იყო. ის ბენეფიციარები, რომლებიც საჭიროებდნენ დამხმარე მოწყობილობებს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლების დახმარებით შეირჩნენ.

მსგავსი ტიპის აქტივობა საერთაშორისო ორგანიზაციამ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში უკვე რამდენჯერმე განახორციელა.

მარიანა ბურჯალიანი

ბორის სკოლა„პანსიონის „სამოქალაქო კლუბის“ წევრებმა სოციალური აქცია განახორციელეს

ბორის სკოლა—პანსიონის „სამოქალაქო კლუბის“ წევრებმა ამერიკელ მეგობრებთან ერთად სოციალური აქცია მოაწყვეს. ბორის სკოლა-პანსიონსა და ამერიკელ მეგობრებს შორის შუამავალი ორგანიზაცია გახლავთ ,,ფონდი თბილისის მოზარდთა სახლი" (ხელმძღვანელები: თამარ გრიგოლია, ვასილ ნატროშვილი). აქციაში ჩაერთო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის უფროსი ნანა კიკნაძე.

ბორის სკოლა—პანსიონის დირექტორი ჰამლეტ ბერაძე: „ ჩვენი მეგობრები ამერიკიდან უკვე რვა წელია, ბორის სკოლა—პანსიონს სხვადასხვა მიმართულებით აფინანსებენ: საკვები პროდუქტები, მედიკამენტები, უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზრდების სწავლება. ასევე აფინანსებენ ბორის სკოლა—პანსიონის „სამოქალაქო კლუბის“ სოციალურ აქციებს. დღეს სწორედ ასეთი სახის აქცია იმართება. ვარძიასა და ლახუნდარაში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს საკვები პროდუქტებით დავეხმარეთ.“

ბორის სკოლა-პანსიონის „სამოქალაქო კლუბის,“ წევრები ამერიკელ მეგობრებთან ერთად ვარძიისა და წყალაფორეთის სკოლების მოსწავლეებს ჰიგიენური ნივთებითაც დაეხმარენ.

2 ივნისს, წყალაფორეთისა და ვარძიის საჯარო სკოლების მოსწავლეები ბორის სკოლა—პანსიონს ესტუმრნენ, სადაც სხვადასხვა სახის ღონისძიებებში მიიღეს მონაწილეობა.

3 ივნისს ბორის სკოლა—პანსიონში დასკვნითი ღონისძიებები გაიმართა. ჩატარდა ინტელექტუალური კონკურსი „ნიჭიერი“, რომელიც ამერიკელი მეგობრების ინიციატივით, სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით ყოველ წელს იმართება. გამარჯვებულს ამერიკელი მეგობრებისაგან სპეციალური პრიზი გადაეცა. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ასევე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ.

„ბომბორების“ მოგზაურობა

გამარჯობათ! ჩვენ „ბომბორები“ ვართ... არა, მართლა კი არ ვართ ბომბორები, ასე ჩვენს ჯგუფს ჰქვია. ჩვენი მასწავლებელი არიან: მაია დევდარიანი, ეკა ტაბატაძე. ჩვენ ბევრი მასწავლებელი გვყავს და ყველა ძალიან გვიყვარს... ძალიან გვიყვარს ჩვენი თამრიკო მასწავლებელი (თამრიკო ოსანაძე). ის ცეკვას და სიმღერას გვასწავლის. კიდევ გვყავს ყველასათვის საყვარელი ლენა ბებო (ლენა ხომასურიძე). ჩვენმა მაია მასწავლებელმა უამრავი რამ გვასწავლა. სხვადასხვა დროს განვიხილეთ ისეთი თემები, როგორებიცაა: კოსმოსი, ველური ბუნება, მწერები და ასე შემდეგ. მათ შორის ამ ზამთარს დინოზავრებსაც შევეხეთ და მაშინ მაია მასწავლებელმა გვიამბო, რომ ჩვენთან, საქართველოშიც, ბინადრობდნენ დინოზავრები, კერძოდ, სათაფლიაში. ძალიან დაგვაინტერესა ამ თემამ და მშობლებს ვთხოვეთ, რომ წავეყვანეთ და ენახვებინათ ჩვენთვის ''დინოზავრის ნაკვალევი'' და აი, 27 მაისს დადგა ნანატრი დღე და ჩვენ გავემართეთ საპარლამენტო ქალაქ ქუთაისისკენ. პირველად წმინდა მოწამეების - დავითისა და კონსტანტინეს სახელზე აგებული მონასტერი დავათვალიერეთ, რომელიც მწვანეშია ჩაფლული და ძალიან კარგი სანახავია. იქ წირვის დროს მივედით და რადგანაც ყველაზე პატარები ვიყავით, მოძღვარმა დაგვლოცა. რადგანაც ცელქი ბავშვები ვართ, ჩვენ მაინც „ დინოზავრებთან“ მიგვეჩქარებოდა. გეზი ჯერ გელათის მონასტრისკენ ავიღეთ. მშობლებმა და მასწავლებლებმა გვითხრეს, აქ ჩვენი ბუმბერაზი მეფე დავით აღმაშენებელი განისვენებდა. ჩვენ ჯერ ტაძარი მოვილოცეთ, შემდეგ კი დავითის საფლავზე ვილოცეთ. ტაძარი ბუმბერაზია, მაგრამ, რადგან ჯერ პატარები ვართ, კარგად ვერ ჩავნვდით მის მნიშვნელობას და მაინც სათაფლიისკენ მიგვეჩქარება და აი, დადგა, როგორც იქნა, ნანატრი მომენტი და ჩვენ სათაფლიის ნაკრძალში ვართ. ჩვენი გიდი ლამაზი, ხვეულთმებიანი ნათიაა და ის გვიხსნის, რომ ეს ერთადერთი ადგილია, სადაც აღმოჩენილია ხორცისა და ბალახის მჭამელი დინოზავრების ნაკვალევი, აი შესასვლელშივე უამრავი ნაკვალევია და ჩვენ აღტაცებას ვერ ვმალავთ. ახლა ტყეში შევედით და იქ დგას დინოზავრების სკულპტურები. ცოტა კი შეგვეშინდა, მაგრამ დაგვამშვიდეს, ისინი ხომ ნამდვილები არ არიან. განვაგრძეთ გზა და აღმოვჩნდით სათაფლიის მღვიმეში. უჰ, აქ ნამდვილი ზღაპრული გარემოა, ათასფრად განათებული სტალაგმიტები და სტალაქტიტები. ისეთი ლამაზია, თვალს ვერ ვწყვეტთ. გავიარეთ ეს ულამაზესი დარბაზები და ბოლოს ყველაზე დიდ დარბაზში შევედით, მას „ოცნების“ დარბაზს უწოდებენ. რადგანაც იქ ადამიანის გულის ფორმის უზარმაზარი ზომის სტალაგმიტია, მას თუ სურვილს ჩაუთქვამ, აუცილებლად შეგისრულდება. და, აბა, ჩვენ როგორ გავუშვებდით შანსს ხელიდან და ჩვენც ვისურვეთ, რომ კარგად ვისწავლოთ, მალე ხომ სკოლაში მივდივართ. სათაფლიიდან გამოსულები ცოტა სეტყვამ შეგვაშინა, მაგრამ ეგ არაფერი. ახლა გეზი გელა ძიამ (გელა ლურსმანაშვილი) ბაგრატის ტაძრისკენ აგვაღებინა, ეს დიდი ტაძარი, თურმე ჩვენს დედიკოებს ბავშვობაში დანგრეული უნახავთ, ჩვენ კი ის თაობა ვართ, ვინც აღდგენილი ვნახეთ და დიდ შთაბეჭდილების ქვეშ ვართ. ის ძალიან დიდი და ლამაზია. შიგნით შესვლისას კი შევძახეთ: უჰ, რამოდენაა!! იქაც წირვას მივუსწარით მეუფე ზეთს აცხებდა და ჩვენც დავესწარით მსახურებას.

და ბოლოს ქუთაისის გასართობ ცენტრში აღმოვჩნდით. იქ ბევრი ვიცელქეთ, ვისრიალეთ, ვიხტუნეთ და ძალიან დავიღალეთ. გვინდა, მადლობა გადავუხადოთ ჩვენს მასწავლებლებს, რადგან ამდენი რამ გვასწავლეს, მშობლებს, რომ შეძლეს ჩვენთვის ეს დღე გაელამაზებინათ და გელა ძიას, რომ მოთმინებით იტანდა ჩვენს ცელქობას, ხმაურს, გული არ დაგვწყიტა და ყველგან წაგვიყვანა.

N1 საბავშვო ბაღის აღსაზრდელები, „ბომბორების“ ჯგუფი

გოგა კვინიკაძის დასახმარებლად ხარაგაული კიდევ ერთხელ გაერთიანდა

2 ივნისს ხარაგაულის კინოთეატრში გოგა კვინიკაძის დასახმარებლად ღონისძიება გაიმართა. საქველმოქმედო კონცერტი კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა. საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები. სპეციალურად ღონისძიებისათვის ჩამოვიდნენ სამეჯლისო ცეკვების შემსრულებლები: გიორგი ბუაჩიძე და ანი რატიანი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, გოგა კვინიკაძის, დასახმარებლად 2 000 ლარი გადაირიცხა, ხოლო საქველმოქმედო ღონისძიებიდან 2875 ლარი შემოვიდა.

აღსანიშნავია, რომ რიყის ბინების ეზოში ბავშვების ინიციატივით, რომელთა ასაკი 12 წელს არ აღემატებოდა, ჩატარდა საქველმოქმედო აქცია გოგა კვინიკაძის დასახმარებლად. აქციის ფარგლებში 60 ლარი შეგროვდა.

შეგახსენებთ, რომ გოგა კვინიკაძე, 24 წლის ახალგაზრდა სიცოცხლით სავსე ვაჟკაცი, გასული წლის აგვისტოს ცხელ დღეს, უბედური შემთხვევის შედეგად დაინვალიდდა. მას ჰყავს მეუღლე და ორი წლის ვაჟი ანდრია. გოგას „ინოვას“ კლინიკაში ესაჭიროება გადაუდებელი ოპერაცია, რომლისთვის 6 000 ლარია საჭირო.

მათ, ვისაც გსურთ გაუწიოთ ფინანსური დახმარება გოგა კვინიკაძის ოჯახს, თანხა შეგიძლიათ გადარიცხოთ ლიბერთი ბანკის ანგარიშზე - GE17LB0711128138522000.

თამარ მალრძე

ჟონჟურსში „ვკითხულობთ რუსთაველს“ ხარაგაულელმა მოსწავლეებმა გაიმარჯვეს

ლიტერატურულ კონკურში „ვკითხულობთ რუსთაველს“ ორი ხარაგაულელი მოსწავლე გახდა გამარჯვებული. კონკურსის დასკვნითი ტური 31 მაისს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა. ჟიურომ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული მონაწილეები გამოავლინა. ხარაგაულის N2 საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე თათია ჭიპაშვილი მთვარი პრიზის გრან-პრის მფლობელი გახდა, მან ნომინაციაში „საუკეთესო მკითხველი“ გაიმარჯვა, ხოლო კიცხის საჯარო სკოლის მოსწვალე, შოთა ზვიადაძე ნომინაციაში „ჟიურის სიმპათიის“ გამარჯვებულად დასახელდა. კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ პედაგოგები, მოსწავლეები, სტუდენტები. კონკურსანტებს საშუალება ჰქონდათ 3-5 წუთის ფარგლებში წარმოედგინათ „ვეფხისტყაოსნიდან“ შერჩეული ეპიზოდი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მხატვრული კითხვის ხელოვნებას.

პროექტი „ვკითხულობთ რუსთაველს“ საქართველოს მაშტაბით 15 წელია ხორციელდება. პროექტის მხარდამჭერები არიან „რუსთაველის კლუბი“ და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი.

აღნიშნულ პროექტში ხარაგაული პირველად ჩაერთო.

„ხალხური ფოლკლორული მუსიკისა და ცეკვის რესპუბლიკურ ფესტივალში“, ხარაგაულის ფოლკლორულმა ანსამბლმა პრიზი გრან-პრი მოიპოვა

22 მაისს თბილისში გამართულ „ხალხური ფოლკლორული მუსიკისა და ცეკვის რესპუბლიკურ ფესტივალში“ ხარაგაულის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებულმა ფოლკლორულმა ანასამბლმა (ხელმძღვანელი ვასილ კიკნაძე) მთავარი პრიზი, გრან-პრი მოიპოვა. ფესტივალზე ანსამბლის წევრები ორი სიმღერით წარდგნენ - „ორერი რერა“ და „რაი და ბოშო“. შესრულებულმა სიმღერებმა ჟიურის წევრებს შორის დიდი მოწონება დაიმსახურა. ჟიურის შემადგენლობაში გახლდნენ ესთეტიკური ცენტრის დირექტორი ირმა პაპავა, მუსიკათმცოდნე ქეთევან არობელიძე და ჟიურის თავმჯდომარე-საქართველოს დამსახურებული არტისტი მზია მიქაშავიძე. „ხალხური ფოლკლორული მუსიკისა და ცეკვის რესპუბლიკული ფესტივალი“ საქართველოს მასშტაბით ჩატარდა და მასში მონაწილეობას ფოლკლორული ანსამბლები ღებულობდნენ. აღნიშნულ ფესტივალში ხარაგაულის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ფოლკლორულმა ანსამბლმა (ხელმძღვანელი ვასილ კიკნაძე) შვიდჯერ მიიღო მონაწილეობა და ხუთჯერ პირველი ადგილის მფლობელები გახდნენ. „ხალხური ფოლკლორული მუსიკისა და ცეკვის რესპუბლიკური ფესტივალის“ გამარჯვებულს წელს პირველად გადაეცა გრან-პრი, რომელიც ხარაგაულის ფოლკლორულმა ანსამბლმა მიიღო.



ჩვენო უსაყვარლესო, არსენა ბაბუ!

ძალიან რთულია, წარსულში მოგიხსენიოთ. არსენა ბაბუ იყო? არა, არის და მუდამ ჩვენთან იქნება მისი ხატება განუშორებლად, კვლავ დაგვმოძღვრავს თავისი ცხოვრებისეული გამოცდილებით... როგორ გახარებდა შვილიშვილების წარმატება სწავლასა და ხელოვნებაში.

მარადიულ სამყაროში შენი დამკვიდრებიდან სულ რაღაც ორ კვირაში მომიწია მნიშვნელოვან კონცერტზე გამოსვლამ. ჩემმა შესრულებულმა ორმა ვოკალურმა ნაწარმოებმა დიდი წარმატება მომიტანა. მეორე დღეს ცნობილმა კომპოზიტორმა, ვაჟა აზარაშვილმა, თავის კონცერტზე მიმიწვია. როგორ ვინატრე, ჩემო ბაბუ, რომ ამ წარმატების მოწმე ყოფილიყავი და სიხარულით აცრემლებული შენი ლამაზი თვალები მეხილა...

იცი, ბაბუ, პატარა ქეთევანმა როგორი განცდით დაასურათა მამა-შვილის განშორება, როცა თინიკო დეიდა სარეცელზე მიჯაჭვულს გამოგეთხოვა იმ იმედით, რომ ორი დღის შემდეგ კვლავ დახვდებოდი... მაგრამ ამაოდ...

პირველკლასელმა ერეკლემ კი შენი ავადმყოფობის მძიმე წუთებში ბრძენკაცივით ჩაილაპარაკა: ახლა ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ბაბუ გამოჯანმრთელდესო...

ჩვენო ბაბუ! განგებამ ინება, რომ შენ 18 წლის განშორებულ შენს სიცოცხლეს, ჩვენთვის უცნობ ძია მიშიკოს ჩახუტებოდი... მარტოდ მყოფი შეგებრალა და მას მიაშურე, ჩვენ კი ბებოსთან დაგვტოვე და ერთი თხოვნა გვაქვს სიკეთით სავსე, ჩვენო ბაბუ, ილოცოს შენმა კეთილმა სულმა და შენგან გაუხარჯავი სიყვარულის გახარჯვის საშუალება მიეცი ჩვენს გონიერ, უნარიან და თავდადებულ ბებოს, ცისანა (ციცო) ჩიტაძეს, რომ ასი წლის შემდეგ შენ და მიშიკოსკენ რომ გამოეშურება, შენი დატოვებული შთამომავლობის წინსვლა-წარმატების უამრავი ამბავი მოგიტანოს...

გვჯერა, რომ უფლის მადლით ამ თხოვნას უეჭველად აგვისრულებ, ჩვენო კეთილო ბაბუ!

შვიდი შვილიშვილის სახელით - **ნინო ავალიშვილი**

ხარაგაულის სკოლებს შორის სათავგადასავლო ტურ-თამაშები მიმდინარეობს

„დევების წყაროს“ მიმდებარე ტერიტორიაზე სკოლებს შორის სათავგადასავლო ტურ-თამაშების შესარჩევი ტური მიმდინარეობს. ერთმანეთს პირველობისთვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 16 სკოლა ეჯიბრება. ტურ-თამაშები „დევების წყაროდან“ იწყება და ახალგაზრდებს დევების გამოქვაბულამდე სხვადასხვა დაბრკოლების გადალახვა უწევთ.

ღონისძიება ტურიზმის ცენტრის (დირექტორი ბერიკა თურმანიძე), გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის (ხელმძღვანელი ირინე ჩხეიძე)და საგანმანათლებლო რესურსცენტრის (უფროსი დავით კიკნაძე) ორგანიზებით იმართება.

გამგებლის მრჩეველი ტურიზმის საკითხებში მამუკა ჭიპაშვილი: „მესამე წელია, ხარაგაულში ტურ—თამაშები სხვადასხვა ადგილზე იმართება. წელს ბევრმა მუნიციპალიტეტმა გამოთქვა მონაწილეობის სურვილი და ამიტომ თამაში ორ ეტაპად გაიმართება. ფინალი 10 ივნისამდე ბორჯომ—ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ორი დღით გაიმართება. ფინალურ თამაშში დამატებით რვა მუნიციპალიტეტის გუნდი ჩაერთვება.“

სამძიმარი

შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს სკოლის დირექტორს, ქალბატონ ლალი ალექსიძესა და მის მეუღლეს, ბატონ იუზა კელენჯერიძეს, საყვარელი ძმისა და ცოლისძმის

ომარ ალექსიძის **გარდაცვალების გამო.**

განცხადება

ხარაგაულის ა(ა) იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება“ აცხადებს აღსაზრდელთა მიღებას 2016 წლის 1 სექტემბრისთვის. განცხადებები მიიღება ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა.

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ დარეკოთ: 577-60-88-10.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 32 25; ტირაჟი 1500 ცალი
დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა სამშობლოში“
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12